

# ქართული ინტერნეტ-გამოცემები და სექსუალური უმცირესობები

თბილისი  
2011 წ.

## სარჩევი

შესავალი .....	1
ლიტერატურული მიმოხილვა .....	3
შერჩევა .....	5
ბიბლიოგრაფია .....	6

## აბსტრაქტი

კვლევა შეეხება ქართულ საინფორმაციო ინტერნეტ-გამოცემებში სექსუალური უმცირესობების შესახებ, სტერეოტიპებისა და მითების შექმნას. კვლევა მოიცავს 2010 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბრის პერიოდს, როდესაც იგეგმებოდა ჯერ თბილისში, მოგვიანებით კი ბათუმში, გეი-აღლუმის ჩატარება.

## შესავალი

სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, პიროვნების დევნა და დისკრიმინაცია, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში არსებული პრობლემაა. დღეს, ამ პრობლემაზე მსოფლიოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ადამიანების უფლებათა დამცველი უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. მათი უფლებები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ხარისხით არის დაცული. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ლგბტ პირები თანაბარ უფლებებიან პირობებში იმყოფებიან ჰეტეროსექსუალებთან, ლგბტ პირები ფართო უფლებებით სარგებლობენ. ნაკლებად განვითარებულ და ღარიბ ქვეყნებში კი მათი თავისუფლების ხარისხი დაბალია.

ისევე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების მხრივ, საქართველოს სექსუალური უმცირესობების საკითხებთან შუალედური ადგილი უჭირავს. ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია მხოლოდ ევროპის საბჭოში წევრობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 2000 წლის 1 ივნისს მოხდა. საქართველოს მთავრობამ ამ ნაბიჯით ევროკავშირის მოთხოვნა დააკმაყოფილა. თუმცა, მას შემდეგ, ევროსაბჭოს მონიტორინგის სხვადასხვა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიუხედავად, აღარ უზრუნია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის დახვეწაზე.

სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის პრობლემა, საქართველოში, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და რელიგიურობის უმაღლესი შეგრძნების, ასევე მკაცრი პატრიარქალური წყობილების სახელმწიფოში, აქტუალურად დგას. პრობლემის გაღვივებას ხელს ისიც უწყობს, რომ მედია სექსუალური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულია და ამ ადამიანებისგან „მტრის ხატის“ შექმნას ცდილობს. ინტერნეტ-გამოცემებსა და პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში, სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაცია ლეგიტიმურ სახეს იძენს მაშინ, როდესაც სტატიის ავტორი მოცემულ საკითხზე ინტერვიუს ართმევს ისეთ პიროვნებას, რომელიც არ არის ლიბერალური ამ ჯგუფებთან მიმართებაში; ან კიდევ მედია-საშუალება გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ლგბტ პირებთან დაკავშირებით და ამას ნიღბავს, როგორც საზოგადოებაში არსებულ აზრს („მედია საზოგადოების სარკეა“). შესაბამისად, ექსპერტები და სხვა ოფიციალური წყაროები ეყრდნობიან გაზეთის პოზიციას, როგორც საზოგადოებრივი აზრის ობიექტურ გამოხატულებას.

სექსუალური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია დღეს უკვე, არა მხოლოდ ტრადიციული მედიის, არამედ ახალი მედიის საშუალებითაც ხდება. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ადამიანები გაზეთებისა და ტელევიზორების გამოყენებიდან ინტერნეტის მოხმარებაზე გადავიდნენ. ისინი თავიანთი ცოდნის უდიდეს ნაწილს ინტერნეტის მეშვეობით – სხვადასხვა ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციით იღებენ. აქედან გამომდინარე, ინტერნეტ-გამოცემები წარმოადგენს კვლევის ინტერესის სფეროს.

ქართულ საინფორმაციო ინტერნეტ-გამოცემები, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთი ძლიერი იარაღი, ავრცელებს ლგბტ-ს შესახებ სხვადასხვა სტერეოტიპებს/მითებს, რითიც ხელს უწყობს ამ ადამიანების სტიგმატიზაციას და ხელს უშლის მათ ნორმალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

სწორედ ამიტომ, საკვლევ სივრცედ არჩეულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ახალი საშუალება, რომელსაც ახალი მედია ანუ ინტერნეტ-მედია

ეწოდება. საკვლევი ობიექტები არიან შემდეგი საინფორმაციო ინტერნეტ-გამოცემები: netgazeti.ge, ambebi.ge, epn.ge, 7Days.ge, რომლებშიც 2010 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერის მონაკვეთში ქვეყნდებოდა სტატიები საქართველოში გეი-აღლუმის ჩატარებასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია გამოავლინოს ინტერნეტ-გამოცემების დისკრიმინაციულობა სექსუალური უმცირესობების მიმართ. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული კვლევა არარეპრეზენტატულია, რადგან ქართული ინტერნეტ-გამოცემებიდან მხოლოდ 4 ვებ-გვერდია მოცემული, რაც არ იძლევა კვლევის მთლიანად ინტერნეტ-გამოცემებზე განზოგადების საშუალებას. მიუხედავად ამისა, კვლევის მიხედვით, შესაძლებელია ზოგადი წარმოდგენის შექმნა, თუ როგორ აშუქებენ საინფორმაციო ინტერნეტ-გამოცემები ლგბტ-ებთან დაკავშირებულ ინფორმაციას..

თემის საკვლევი შეკითხვები შემდეგნაირია:

- 1) როგორ იცავენ ქართული ინტერნეტ-გამოცემები ჟურნალისტურ სტანდარტს სექსუალური უმცირესობების გამუქებისას?
- 2) რა კუთხით ხდება ქართულ ინტერნეტ-გამოცემებში სექსუალური უმცირესობების წარმოჩენა?
- 3) რომელ წყაროებს ეყრდნობიან ინტერნეტ-გამოცემები სექსუალურ უმცირესობებზე საუბრისას?

## ლიტერატურული მიმოხილვა

ქართულ საინფორმაციო ინტერნეტ-გამოცემებში ჰომოფობიური სტატიების არსებობის შესახებ და მათი ანალიზი საქართველოში არავის ჩაუტარებია. აქამდე ჩატარებულ კვლევებში, ძირითადი აქცენტები კეთდებოდა ტრადიციული მედიაში სექსუალური უმცირესობების გაშუქებასთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან, მოცემული კვლევა იქნება გზამკვლევი ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისკენ. მასმედია, როგორც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში აზრის მფორმირებელი და მათი ცხოვრების წესის გამსაზღვრელი, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია.

როგორც მაიკლ ვოლფი წერდა, სექსუალური უმცირესობების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, უდიდეს როლი მასმედიის საშუალებებს ენიჭება. მასკომუნიკაცია და ადამიანის სექსუალური იდენტობა ერთმანეთთან კომპლექსურად არიან შერწყმულნი და ორივე, გავლენას ახდენენ ინდივიდის ცხოვრების სტილზე (Michelle A. Wolf, 1987).

მაიკლ ვოლფის მოსაზრება მისაღები და საწრმუნოა იმ მხრივ, რომ ტრადიციული მედიის საშუალებები, როგორც არის ტელევიზორი (ერთ-ერთი ძლიერი საშუალება საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად), მსოფლიოს მოსახლეობის 90% აქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ოჯახების უმეტესობას სახლში შეიძლება არ ჰქონდეს მაცივარი, მაგრამ აუცილებლად აქვს ტელევიზორი (NIMH 1983). მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში (კვლევიდან გამომდინარე-სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში) მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტი ადამიანი იღებს ინფორმაციას, მასკომუნიკაციებიდან, რომლებიც მათ აზრს ისე წარმართავენ, როგორც ეს რედაქციებს სურთ. დამტკიცებულა, რომ მოზარდები, რომელთა ასაკიც 18 წლამდეა, ყველაზე მეტ დროს ტელევიზორთან ატარებენ, თუ არ ჩავთვლით ძილს. შემდეგ მოდის უკვე მათ მიერ შესრულებული სხვა აქტივობები (Liebert & Sprafkin, 1988, p.ix). ეს კვლევა ჩატარდა 90-იანი წლების მიწურულს, დღეს, კი როდესაც მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 2009 წლის მონაცემებით 1,73 მილიარდია, ხოლო ვებ-გვერდებისა და ბლოგების ციფრი 126 მილიონს შეადგენს (ცეცხლაძე, ნესტან 2010), შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალ მედიას საზოგადოების ცნობიერებაზე. ტრადიციული და ახალი მედიის საშუალებები არიან შუამავლის როლის შემსრულებლები პიროვნების სექსუალურ საკითხებზე მათი დამოკიდებულების შექმნასა და ამ აზრის ფორმირებამდე მათთვის ინფორმაციის მიწოდებას შორის.

ლარი გროსი წერდა, რომ სამყარო თანდათან ემსგავსება ლევიათანს, დიდ მონსტრს ტელეკომუნიკაციებით, როგორც მისი ნერვული სისტემით, სადაც უმცირესობების სახე, ყველაზე კარგ შემთხვევაში, წარმოჩენილია, როგორც „საწყლები“, „ნორმალური“ ადამიანების ქცევები და თვისებები კი დადებით ასპექტშია საზოგადოებისთვის მიწოდებული. ეს იწვევს უმცირესობების უფლებების შელახვას, მათი ადამიანური მხარეების დამცირებას, რომლის შედეგადაც ისინი ხდებიან საკუთარი და საზოგადოების სტერეოტიპების მსხვერპლნი (გროსი ლარი 1991, გვ.19).

მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია მედია-საშუალებებს გავლენა მოახდინოს ადამიანების სექსუალური იდენტობების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებაზე, ეკუთვნის შოუ-ბიზნესში გეი და ლესბოსელ ხელოვანთა კავშირის აღმასრულებელ დირექტორს, კრის უზლერს (1987):

ბოლოს გამოცემულ Los Angeles Times-ში, მოყვანილი იყო საზოგადოებრივი აზრის კვლევა, სადაც გამოკითხულთა 56% აცხადებდა, რომ ისინი არ იცნობდნენ არავის ისეთს, რომელიც იქნებოდა ლესბოსელი ან გეი... საიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს მათ ეს მოსაზრება? რა თქმა უნდა, მათი რელიგიური მწრამსის, აღზრდის მიხედვით, მაგრამ მათ ამ აზრის ფორმირებაში, ასევე დიდი როლი შეასრულა მედია. და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, როგორ უნდა ვიზრდოდ ჩვენ(გეებმა)? ასეთია მედია. (Vandervelden, 1987, გვ. 10-11)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად, „ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.“ დეკლარაციის მე-7 მუხლის მიხედვით კი „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დისკრიმინაციის გარეშე ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ“. („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1949 წ.)

სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მედიის საშუალებით გაშუქებას საქართველოში ეთიკის კოდექსი და მედია-საშუალებების მიერ თვითრეგულირებისთვის შექმნილი მექანიზმები არეგულირებს. თუმცა თვითრეგულირების წესების ჩამონათვალი მოცემული ვებ-საიტებიდან, რომლებიც კვლევისთვის შეირჩა: netgazeti.ge, ambebi.ge, epn.ge, 7Days.ge, მხოლოდ netgazeti.ge-ს აქვს.

ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსის მე-6 პუნქტის 5-ე ქვეპუნქტის მიხედვით, დაუშვებელია პიროვნების დისკრიმინაცია რასის, სქესის, ეროვნების, რელიგიის, ფიზიკური მდგომარეობის, სექსუალური, პოლიტიკური ორიენტაციისა და სოციალური ნიშნით. ჟურნალისტი უნდა მოერიდოს ადამიანის რომელიმე ამ ნიშნისადმი კუთვნილების დასახელებას, თუ ეს აუცილებელი არ არის მომხდარ ფაქტში თუ მოვლენაში საზოგადოების გასარკვევად. ჟურნალისტმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ ხელყოს ინდივიდის პატივი და ღირსება (ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, 2001 წ.).

ნიდერლანდებში შემუშავებული ეთიკის კოდექსის თანახმად კი, ჟურნალისტი გაითვალისწინებს იმ საფრთხეს, რომელიც მედიის მხრიდან დისკრიმინაციის წახალისებამ შეიძლება გამოიწვიოს და ყველაფერს გააკეთებს, რათა თავიდან აიცილოს რასობრივ კუთვნილებაზე, სქესზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, ენაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ და სხვა მრწამსზე, ეროვნულ თუ სოციალურ კუთვნილებაზე დამყარებული დისკრიმინაცია. (ჟურნალისტიური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, 2003 წ.)

მასმედიის საშუალებები, რომლებსაც ახალი მედიაც შეუერთდა, დღემდე აგრძელებს სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციას და მათი პრივატული საკითხების საჯაროდ განხილვის თემად ქცევას.

## შერჩევა

კვლევის დასაწყისში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, შეირჩა შერჩევის ერთი მეთოდი: კონტენტ-ანალიზი, რაც გულისხმობს 2010 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბრის თვეებში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი პირების შესახებ, netgazeti.ge, ambebi.ge, epn.ge, 7Days.ge ინტერნეტ-გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების დახარისხებასა და შესწავლას, რათა გავიგოთ თუ რამდენად იცავენ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსსექსუალ პირთა უფლებებს აღნიშნული ინტერნეტ-გამოცემები.

კონტენტ-ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს, როგორ აშუქებს მედია ამა თუ იმ ჯგუფის (ამ შემთხვევაში სექსუალურ უმცირესობების) შესახებ ინფორმაციას დროის სხვადასხვა მონაკვეთში. შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით, გავიგებთ, მოდის თუ არა თანხვედრაში კვლევისთვის შერჩეული 4 ვებ-საიტი ჟურნალისტური ეთიკის კოდექსთან და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებთან (ამ უკანასკნელის დაცვა სავალადებულოა, ჟურნალისტური ეთიკის კოდექსისა კი თავად მედია-ორგანიზაციის სურვილზეა დამოკიდებული).

შინაარსობრივი ანალიზის გამოყენებით გაეცემა პასუხი კვლევაში დასმულ შეკითხვას, თუ რომელ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებენ კვლევისთვის შერჩეული ვებ-საიტები (netgazeti.ge, ambebi.ge, epn.ge, 7Days.ge) სექსუალური უმცირესობების შესახებ ინფორმაციას. თუ კი ჟურნალისტების წყაროები მუდმივად იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჰომოფობიურობით არიან საზოგადოებაში ცნობილი, კონტენტ-ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ სპეციალურად მიმართავენ ამ პიროვნებებს ჟურნალისტები ინტერვიუსთვის თუ არა.

იმისთვის, რომ კვლევამ მოგვცეს ნათელი სურათი არსებული რეალობისა, თითოეული ვებ-საიტიდან, განვიხილავთ თვეში გამოქვეყნებულ 4 სტატიას, ჯამში კი 48 სტატიას.

ანალიზის ერთეულად შერჩეულია ნიუსის ჟანრის (hard news) სტატიები და ფოტოები. ფოტოების რაოდენობა იქნება თითო ვებ-საიტიდან 1 ფოტო, ჯამში კი 12 ფოტო (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი).

ანალიზის ერთეულად შერჩეულ პრიორიტეტულ რეგიონებში მოხვდა: ქართლი და აჭარა, კერძოდ კი თბილისი და ბათუმი, სადაც იგეგმებოდა გეი-აღლუმის ჩატარება.

სექსუალურ უმცირესობებზე დაწერილი სტატიების ხასიათი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- 1) პოზიტიური,
- 2) ნეგატიური,
- 3) ნეიტრალური,
- 4) შერეული.

კვლევის მიზანი – გამოავლინოს დისკრიმინაციული სტატიების არსებობა ახალ მედიაში, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით იქნება შესაძლებელი. შინაარსობრივი ანალიზი, მოგვცემს ზოგად სურათს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალ მედიაში.



## ბიბლიოგრაფია

- Wolf, M. A. (1987). How children negotiate television. In T. R. Lindlof (Ed.), *Natural audiences: Qualitative research of media uses and effects* (pp.58-94). Norwood, NJ: Ablex. ;
- National Institute of Mental Health. 1983. *Television and behavior: Ten years of scientific progress and implications for the Eighties*. In E. Wartella, D.C. Whitney & S. Windahl (Eds.), *Mass communication review yearbook 4* (pp.23-35). Beverly Hills: Sage;
- Liebert, R. M., & Sprafkin, J. (1988). *The early window: Effects of television on children and youth* (3rd ed.). New Your: Pergamon. ;
- ცეცხლაძე, ნესტან(2010). *ინტერნეტი 2009 წელს ციფრებში*. იანვარი 30, 2010, ლინკი: <http://bit.ly/e5NgLf> ;
- Gross, L. (1984). The cultivation of intolerance. In G. Melischek, K. Rosengren & J. Stappers (Eds.). *Cultural indicators: An international symposium* (pp. 345-364). Viena: Austrian Academy of Sciences. ;
- Vandervelden, M. (1987, January 20). Changing gay images on the screen: Alliance for Gay and Lesbian Artists. *The Advocate*, pp. 10-11, 20.
- ჟურნალისტური ეთიკა და თვირეგულირების მექანიზმები, თავისუფლების ინსტიტუტი 2003 წ, გვ.25
- ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, 2001 წ, from: <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98#6>. .E1.83.90.E1.83.93.E1.83.90.E1.83.9B.E1.83.98.E1.83.90.E1.83.9C.E1.83.98.E1.83.A1 .E1.83.A3.E1.83.A4.E1.83.9A.E1.83.94.E1.83.91.E1.83.94.E1.83.91.E1.83.98.E1.83.A1 .E1.83.9E.E1.83.90.E1.83.A2.E1.83.98.E1.83.95.E1.83.98.E1.83.A1.E1.83.AA.E1.83.94.E1.83.9B.E1.83.90
- „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1949 წ, from: <http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>